ხელშეკრულება №35/ფ004

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი " 3 " "იანვარი" 2012წ.

ერთი მხრივ, სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" დირექტორის ნატო ავალიანის (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, ააიპ "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს დირექტორს (შემდგომში "მიმწოდებელი") შორის.

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 "გრიპზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება ეროვნული ჯანდაცვის ორგანოების მიერ ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ" პროექტის განხორციელება.

1.2 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი (მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი).

1.3 "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-ს მიერ „გრიპზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება ეროვნული ჯანდაცვის ორგანოების მიერ ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ" პროექტის დაფინანსების ფარგლებში საყრდენი ბაზით გრიპზე ეპიდზედამხედველობა - CPV-85000000.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 398 (სამასოთხმოცდათვრამეტი) ლარს, ღირებულება არ მოიცავს დღგ-ს.

4. ხელშეკრულების ობიექტი

4.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: პროექტის შესრულების მიზნით "პროტოკოლით" (დანართი 1) განსაზღვრულ ღონისძიებათა განხორციელება (მომსახურება): შემთხვევების მოძიება; სინჯების აღება; ყოველკვირეული ანგარიშგება შემთხვევათა შესახებ (ფორმა 1 და ფორმა 2); სინჯების ადექვატური შენახვა; მუდმივი კონტაქტი "შემსყიდველი" ორგანიზაციის მიერ დანიშნულ პროექტის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთან.

4.2 "პროტოკოლი" წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მასში ცვლილების შეტანა შეუძლებელია "შემსყიდველ" ორგანიზაციასთან შეთანხმების გარეშე.

5. შესასყიდი მომსახურების ხარისხი

5.1 შესასყიდი მომსახურების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი, ფორმა და ვადები

6.1 შესასყიდი მომსახურების მიწოდების ვადა – 03.01.12წ – 01.02.12წ.

6.2 მიწოდების ადგილი – თბილისი, ასათიანის ქ. № 9, სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი".

6.3 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. (დანართი 2); (დანართი 3).

7. შესასყიდი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიწოდების დამთავრებისას "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

8. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

8.1 ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, (240 დოლარის ექვივალენტი ლარში) ანგარიშის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 "შემსყიდველი" ვალდებულია:

9.1.1. გადასცეს "მიმწოდებელს" დროებით სარგებლობაში, სინჯების აღება-ტარნსპორტირება-შენახვისთვის საჭირო მასალები და კომპიუტერული და სხვა ტექნიკა, რაზეც გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

9.1.2 აცნობოს "მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.2.1 მიიღოს "შემსყიდველის" მიერ გადაცემული ტექნიკა და მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს "შემსყიდველს".

9.2.2 უზრუნველყოს შესასყიდი მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2.3 "შემსყიდველს" მიაწოდოს თვის სამოქმედო ტერიტორიიდან ზუსტი ყოველკვირეული ინფორმაცია და ასევე უზრუნველყოს სინჯების აღება ზედამხედველობას დაქვემდებარებული შემთხვევებიდან..

9.2.4. აცნობოს "შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

9.2.5 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 განახორციელოს უწყვეტი მონიტორინგი , ამის განხორციელებისთვის უნდა იყოს შექმნილი პირობები.

9.3.2 მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;
9.3.3. უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;
9.3.4 "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთვევაში მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს;
9.3.5 არ სცნოს "მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.
9.4 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:
9.4.1 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების სრული ანაზღაურება.
9.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება მომსახურების მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.
9.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება "შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.
9.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
9.4.5 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დამატების სახით.
10.2 "შემსყიდველი" არ მიიჩნევს დასაშვებად ფასების გადასინჯვის შესაძლებლობას
10.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისათვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2 "მიმწოდებელს" არ აქვს უფლება "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
10.3 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.
10.4 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.
10.5 ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

10.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.7 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულებაზე დამატების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
10.8 პროტოკოლში ცვლილებების შეტანა არის "შემსყიდველის" უფლება და "მიმწოდებელი" ვალდებულია უპირობოდ შეასრულოს იგი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1"შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1 თუ "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან "შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მომსახურების გაწევა;
11.1.2 თუ "მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს რის გამოც ვერ განხორციელდება მომსახურების გაწევა სრულად ან დადგენილ ვადებში;
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.3 "შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მისი მოქმედების დაწყებამდე:
11.3.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია "შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;
11.3.2 თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.3 "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.
11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" უკვე ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 "მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და მომსახურების მიზნობრივად გატარების შესახებ "შემსყიდველი უფლებამოსილია:
12.1.1 უშუალოდ განახორციელოს ინსპექტირება, რომელიც შეეხება გაწეული მომსახურების პერიოდს და ჩატარებულ იქნება მომდევნო თვის განმავლობაში.
12.1.2 არ აანაზღაუროს ინსპექტირების შედეგად არაკორექტულად მიჩნეული სამუშაოები და ხარჯები და დააყენოს საკითხი შესაბამისი პასუხისმგებლობის შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

13. დაუძლეველი ძალის მოქმედება

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენები, რომელსაც ცნობენ მხარეები.

13.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

14.2თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

15 გამოსაყენებელი სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16 ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

17. ურთიერთობა მხარეებს შორის

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. პირგასამტეხლო

18.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

18.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს ოდენობით.

18.3. ხელშეკრულების გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, ყოველი მხარე ერთჯერადად იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ოდენობით.

18.4 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

18.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18.6 მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

19.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 03.01.13წ – 01.02.12წ.

19.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

19.4 ხელშეკრულების მოქმედება წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

20. განსაკუთრებული შენიშვნები

20.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ითვალისწინებს და არ შეიძლება ცდებოდეს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს.
20.2 ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა "მიმწოდებელს".

20. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ასათიანის ქ. №9 საბანკო რეკვიზიტები:	ააიპ "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"
რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ა/ა 200122900	დირექტორი:
	ბ. ა.
გენერალური დირექტორი:	
ნატო ავალიანი	
ბ. ა.	

ვიზა: კ. ოჩიგავა

დ. მღებრიშვილი

ო. ნამიჭეიშვილი

ხ. ფირანიშვილი

შემსრულებელი: ნ. ღლონტი